V

ზოგჯერ ცის თაღზე ჩნდება უცნაური კუდიანი ვარსკვლავები, რომლებსაც ასტრონომები კომეტებს უწოდებენ. ძველად კუდიანი ვარსკვლავების გამოჩენა თავზარს სცემდა ადამიანებს. მიიჩნევდნენ, რომ თუ ცაზე კუდიანი ვარსკვლავი გამოჩნდებოდა, უბედურება იყო მოსალოდნელი.

ახლა კუდიანი ვარსკვლავების აღარავის ეშინია. პირიქით, ასტრონომები მოუთმენლად ელიან მათ გამოჩენას, რათა მოასწრონ და ტელესკოპით დააკვირდნენ ამ საკვირველ მოვლენას. კომეტები ხომ მზის სისტემის ხანმოკლე სტუმრები არიან. ქართველი მეცნიერები კომეტებსა და სხვა ციურ სხეულებს აბასთუმნის ობსერვატორიაში აკვირდებიან და შეისწავლიან.

კომეტების შესწავლის შედეგად მეცნიერებმა მათი შედგენილობაც გაარკვიეს: კომეტის ბირთვი ყინულის, კოსმოსური მტვრისა და კლდის ნამტვრევების უზარმაზარ ბურთს წარმოადგენს, ხოლო მისი კუდი აირებისა და მტვრისაგან შედგება.

მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ 65 მილიონი წლის წინ დინოზავრების გადაშენების მიზეზი დედამიწაზე კომეტის ჩამოვარდნა იყო.

1. რას უწოდებენ ასტრონომები კუდიან ვარსკვლავებს?

---

2. რას უკავშირებდნენ ძველად ადამიანები ცაზე კუდიანი ვარსკვლავების გამოჩენას?

LIVEWORKSHEETS

3. რატომ უნდა იჩქარონ და მოასწრონ ასტრონომებმა კომეტის ცაზე გამოჩენისთანავე მასზე დაკვირვება?

---

4. რისი საშუალებით აკვირდებიან ქართველი მეცნიერები აბასთუმნის ობსერვატორიაში კომეტებს?

---

5. ვინ ფიქრობს, რომ დინოზავრების გადაშენების მიზეზი დედამიწაზე კომეტის ჩამოვარდნა უნდა ყოფილიყო?

ა. ზოგი მეცნიერი;

ბ. მეცნიერთა უმეტესობა;

გ. ყველა მეცნიერი.

6. დინოზავრების გადაშენების მიზეზი ნამდვილად დედამიწაზე კომეტის ჩამოვარდნა იყო?

ა. არა;
ბ. დიახ;
გ. შესაძლოა.

7. როგორია კომეტის ბირთვის შედგენილობა?

კომეტის ბირთვი შედგება:

ა. აირების, კოსმოსური მტვრისა და ყინულისაგან;
ბ. კლდის ნამტვრევების, კოსმოსური მტვრისა და ყინულისაგან;
გ. კლდის ნამტვრევების, კოსმოსური მტვრისა და აირებისაგან.

LIVEWORKSHEETS

8. რა არის ამ ტექსტის ძირითადი შინაარსი?

ა. ასტრონომების საქმიანობის აღწერა;
ბ. დინოზავრების გადაშენების ამბავი;
გ. ცნობები კომეტების შესახებ.

9. რა არის აღწერილი ამ ტექსტში?

ა. ბუნების მოვლენა;
ბ. ისტორიული ამბავი;
გ. ზღაპრული ამბავი.

LIVEWORKSHEETS